

# სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო კოლოქვიუმი\

31 მარტს სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართა მორიგი სამეცნიერო კოლოქვიუმი „ონტოლოგიის და ეთიკის გაერთიანება თანამედროვე კონტინენტურ პოლიტიკურ ფილოსოფიაში“, რომლისმომხსნებელი იყო გიორგი ცხადაია.

ონტოლოგიისა და ეთიკის საკითხი თანამედროვე ანგლოამერიკულ ფილოსოფიაში ერთმანეთისგან განცალკევებულია, ჯონ როულზის კლასიკური ნაშრომის „სამართლიანობის თეორიის“ მიერ დამკვიდრებული სტანდარტისმიხედვით (თუმცა ყოველთვის ასე არ ყოფილა, გავიხსენოთ ზოგ წრეებში დღემდე პოპულარული უტილიტარიანიზმი). ანგლოამერიკულ პოლიტიკურ ფილოსოფიაში ეს დაყოფა სულ უფრო და უფრო გამოკვეთილ ხასიათს იძენს და შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ უკვე ღრმად არის ფესვგადგმული.

ამის პარალელურად, თანამედროვე კონტინენტურ პოლიტიკურ ფილოსოფიაში (განსაკუთრებით რადიკალური დემოკრატიისა და დელიბერაციული დემოკრატიის თეორიებში) ონტოლოგია და ეთიკა ერთმანეთთან მჭიდროდარის გადაჯაჭვული. მოხსენებაში გიორგი ცხადაიამ ისაუბრა, თუ რა გზებით ხდება ამ კავშირის დამყარება და როგორია განსხვავება ამ თვალსაზრისით კონტინენტურ თეორიებს შორის.